# ქართული აზრი

№ 69—70 ნიუ იორკი. თებერვალი, 1965 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, FEBRUARY 1965


ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე".

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

### ნიუ იორკი. თებერვალი, 1965 წ.

შემთხვევით იყო, თუ წინასწარი განზრახვით, ამით ფაქტი არ იცვლება, რომ საბჭოთა რუსეთის ახალი პრემიერის თანადასწრებით მოხდა ჩრდილო ვიეტნამის კომუნისტების ტერორისტული თავდასხმა სამხრეთში მყოფ ამერიკელებზე, რომელმაც რამოდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის კომუნისტების ამგვარ ყაჩაღურ აქტების გამოვლინების.

შეერთებული შტატების მიერ საპასუხო ზომების მიღება, კომუნიზმის ლიდერებმა „ამერიკის იმპერიალისტურ" აქტად დასახეს და თებერვლის 8-ს, მოსკოვმა განაცხადა, რომ „რუსეთი, მისი მოკავშირეები და მეგობრები, იძულებული გახდებიან მკაცრი ზომები მიიღონ ჩრდილო ვიეტნამის დაცვის გასაძლიერებლადო".

ეჭვი არავის უნდა ეპარებოდესო—აცხადებს „ტასსი",—რომ საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხი, შეასრულებს თავის საერთაშორისო მოვალეობას მოძმე სოციალისტური ქვეყნების მიმართ". მოსკოვის ამ მუქარას წინ უსწრებდა თვით კოსიგინის განცხადება: ბოლო უნდა მოეღოს შეერთებული შტატების „შეიარაღებულ პროვოკაციებს" და მოითხოვა, ამერიკელებმა სავსებით უნდა დატოვონ ინდოჩინეთიო.

თუ კომუნისტურ ლოღიკას გავყვებით გამოდის, რომ ვინც მათი აგრესიისაგან თავს იცავს, ეს „იმპერიალიზმი და შეიარაღებული პროვოკაციაა"; მეორე: მარტო საბჭოთა კავშირს, მის მოკავშირეებს და მეგობრებს აქვთ უფლება სხვა ქვეყნის კომუნისტებს დაეხმარნენ, ტერორისტული აქტები გააძლიერონ და მშვიდობის მოყვარულ ხალხს თავისუფალი და მყუდრო ცხოვრების შესაძლებლობა მოუსპონ.

ხოლო თუ დემოკრატიული სამყარო, უფრო მაღალი გონიერებით და ადამიანის სიცოცხლის დაზოგვით, მიეხმარება თავისუფლების მოყვარულ ხალხს, რათა ის კომუნისტური ტირანიის მსხვერპლად არ იქცეს, ეს მაღალ ჰუმანური აქტი „იმპერიალიზმია" და მოსკოვი „მისი მოკავშირეები და მეგობრები" მკაცრად უპასუხებენ.

ასეთია თავისუფალი სამყაროს თვინიერებით გათამამებული რუსული კომუნიზმის და მისი „მეგობრების" ლოღიკა.

ღვთის წყალობით გარემოება ყოველდღიურად იცვლება...შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა იმავე დღეს, ე. ი. თებერვლის 8-ს განაცხადა: „ამ საუკუნეში, წლების განმავლობაში, უცხოეთში და ზოგი შიგნითაც,—უშვებენ უდიდეს შეცდომას და უანგარიშობას ამერიკული ახალგაზრდობის მიმართ"

„ჩვენ გვიყვარს მშვიდობა. მის შემოსანახავად ვშვრებით ყველაფერს,—ჩვენთვის და მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის. მაგრამ ჩვენ უფრო მეტად გვიყვარს თავისუფლება და ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომა ამისათვის: უპასუხოთ ყოველ მუქარას და ყოველი საფასურით დავამტკიცოდ, რომ ამ ქვეყნად თავისუფლება განწირული არ არის"

ჩრდილო ვიეტნამის ავაზაკური თავდასხმაზე შეერთებული შტატების მხრიდან რადიკალურ პასუხს, ყველაზე ადრე ბრიტანეთი გამოეხმაურა. მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მოქმედება სავსებით სამართლიანია...და კომუნიზმი სისტემატიურად არღვევს საერთაშორისო ხელშეკრულებებსო.

ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ რუსეთი ასე ადვილად აიღებს ხელს მსოფლიოში გაბატონების ლტოლვაზე და მსოფლიო აღრეულობაზე. რუსული კომუნიზის ლიდერები ჯერ კიდევ დიდ ხანს ეცდებიან „მიზნის მიღწევას" მაგრამ, ჩვენ გამოცდილებიდან ისიც ვიცით, რომ სადაც ძალას დაინახავენ, იქ დაუყონებლივ უკან იხევენ და გარბიან. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ღრმა რწმენა, რომ დემოკრატიული ქვეყნების ამგვარი მოქმედება საგონებელში ჩააგდებს კომუნიზმის ლიდერებს და თავისუფალი დასავლეთის მტკიცე პოზიციის შემდეგ დიდ ხანს იფიქრებენ ვიდრე ყაჩაღურ აქტებს კვლავ გაიმეორებენ.

ამავე დროს დიდათ აღაფრთოვანებს კომუნიზმისაგან დამონებულ ერებს და მათ მიერ წარმოებულ განმათავისუფლებელ ბრძოლებს დილის მანანად მოევლინება.

***

მოსკოვში მოწყობილი დემონსტრაციები კი სადაც თითქოს „აღელვებული ხალხი" ქუჩაში გამოვიდა და ამერიკული საელჩოს ფანჯრები დაამტვრია,—საზიზღრად მოწყობილი კომედიააა! ნუთუ რეჟიმისაგან დამონებულ, უფლება აყრილ, დამშეულ და გალატაკებულ ხალხს, უფრო მეტად არ აწუხებს საკუთარი ბედი? რატომ არც ერთხელ არ გამოვიდა ქუჩაში და თავის დამმონებელს პროტესტი არ განუცხადა?

ეს არის კაცობრიობის და თვით საბჭოთა ხალხისთვისაც თვალში ნაცარის შეყრა! როდემდინ უნდა იტანოს ეს აბუჩად აგდება?

## აკაკი წერეთელი.

(გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო.)
(გადაეცა „რადიოთავისუფლებას" მიერ.)

სრულდება 50 წელიწადი იმ დღიდან, გრიშაშვილის ენით რომ ვსთქვად: „რა გაიგეს ვარსკვლავებმა, რომ აკაკი მიიცვალა, უგალობეს სულთათანა...წაიყვანეს თავისთანა".

აკაკი წერეთელი ქართველი ერის ბნელბედობის მოღვაწეა! ქართული ეროვნული ჭრილობების დასტაქარი და მისი უებარი მკურნალი.

აკაკი წერეთელი თვალწარმტაცი და შუქმოსილი წევრია მესამოციანთა დასის, რომელიც ქართულ ისტორიაში 'თერგდალეულების" სახელით შევიდა.

აკაკი არამც თუ თვალსაჩინო მგოსანია, არმედ ის გაბედულ და მოურიდებელი მებრძოლია. ის ილიასთან ერთად ფუძემდებელია ქართული ხალხური ენის. მათ გაწმინდეს ქართული ენა ანტონ კათოლიკოზის კატეხიზმებიდან, რომელიც კუზად ეჯდა მოლივლივე ქართულ სიტყვას, და, რომელიც ხალხს და ენას ერთი მეორეს აშორებდა, ერთი მეორისგან ანცალკევებდა.

აკაკი წერეთელი უშიშარი, გაუტეხელი მებრძოლი, ეროვნული და მოქალაქეობრივი შეგნების მაღალი გამოსახულების მოღვაწეა...

აკაკის ქნარი ქართველი ერის გამოფხიზლების, მისი აღვიძების, მისი აღდგენის „დაფი და ნაღარაა".

აკაკის პოეზია ქართული ეროვნული იდეოლოგიის საფუძველია. მას ამ მხრივ იოანე საბანისძე თუ შეედრება... საბანისძეები და აკაკი წერეთლები კი საქართველოს ბნელბედობის ყოველ ეპოქას ჰყავდა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში, რუსული ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენლების წინაშე, უმთავრესად სოციალური საკითხი იდგა და მათი შემოქმედებაც ბატონ-ყმობის გაუქმებას და სოციალურ სამართლიანობას დასტრიალებდა.

საქართველო კი, იმ ეპოქაში იყო „მკვდარივით მძინარე, ფეხშიშველა, თავზე ლეჩაქ ახდილი..." და აკაკის შემოქმედებაც ამ საკითხს ელოლიავებოდა...ამას დასტრიალებდა თავს და აკაკის დაფი და ნაღარაც ამისთვის დაეძებდა გმირებს.

„ბევრი ბრძოლით დაღალულსა,
„ეჭირვება მოსვენება...
„ჩვენ კი ჩვენდა თავად ვიტყვით,
„გულსა სწამს და ჭკუას სჯერა,
„რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
„საქართველოს ბედის წერა!"

მომავლის ამ ღრმა რწმენით შედგა ფეხი ქართულ სამოღვაწეო ასპარეზზე ჭაბუკმა მგოსანმა და საქართველოს მომავლის გაუმჯობესებას შეალია თავისი დაუშრეტელი ენერგია, სანიმუშო ნიჭი და ღვთით შთაგონებული შემოქმედებითი უნარი.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, როგორც კრუხი წიწილებს, ისე დასტრიალებდა აკაკი, ქართველსა და საქართველოს...მისი ზრუნვისა და ფიქრის საგანი კი მხოლოდ საქართველოს საიმედო მომავალი, „მისი ბედის წერა" იყო.

მეცხრამეტე საუკუნეში, დასავლეთ ევროპაში გამოვლინებული ეროვნული თავისუფლების და სოციალური სამართლიანობის იდეა, აკაკის ახალისებდა და მან ქართულ სინამდვილეშიც დაიწყო „გმირების" ძებნა. 'გმირებს დაეძებს უყივის ჩემი დაფი და ნაღარაო", დასძახა ქართველებს სამშობლოს გრძნობით გულანთებულმა მგოსანმა.

მართლაც აკაკის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დროს, სასწაულმომქმედი გმირი იყო საჭირო, რომ საქართველო კვლავ ბრძოლის ცეცხლით აღენთო...რომ ეროვნულ განმათავისუფლებელი შეგნების ნაცარწაყრილი ნაპერწკალი კვლავ გაღვივებინა და ის ნაღვერდალათ და ალად ექცია.

ეს ხომ ის პერიოდი იყო, როცა მეგობრად და მფარველად მოწვეულმა რუსეთის თვით მპყრობელობამ, საქართველოს სამეფო გეოგრაფიული რუკიდან წაშალა და ის თავის გუბერნიად გადააქცია.

ქართველობამ ჯერ ტრადიციულად ხელი ხმალს იკრა და დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად მრავალი აჯანყება მოაწყო. ამან შეიწირა მრავალ მამულიშვილის სიცოცხლე და ეროვნული ენერგია... მაგრამ...თვით აკაკის სიტყვით რომ გამოვთქვად, „წახდა მოქნევა და მკლავის ძალა და ხელმეორედ ხმლის მომარჯვება, მოპირდაპირემ აღარ აცალა". ამგვარად დაფლეთილი და სისხლისგან დაცლილი ქართველი ერი დამბლადაცემული

## ქართველები შ.შტატებში.

მეორე მსოფლიო ომის წინ, შეერთებულ შტატებში, თითებზე ჩამოსათვლელი იყო ქართველობა. ომის წყალობით უსახლკაროდ და უსამშობლოდ დარჩენილ ზღვა ხალხთა შორის ქართველობაც მრავლად მოხვდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გულისტკივილით და რა მწუხარებით უნდა მიეღო ადამიანს გადაწყვეტილება, რომ თუ სამუდამოთ არა, დიდი ხნით მაინც უნდა დაშორებოდა მშობლიურ მიწას..., „სად მამა-პაპა ეგულვის იმისი კუბოს ფიცარი"...უარი ეთქვა მშობლიური ჰაერით სუნთქვაზე, საკუთარ ოჯახზე, ნათესავ-მეგობრებზე, მახლობლებზე და უკვე ხანში შესული შესდგომოდა ახალ ქვეყანაში, ახალ ცხოვრებას. უფალმა იხსნას ამ შინაგანი მღელვარებით გამოწვეულ გრძნობათა სიმწარისაგან ყოველი ძე ადამისა...მაგრამ სიყვარული საზოგადოთ, და კერძოდ ქართველისათვის ხომ მხოლოდ მიძღვნილობაა... მიძღვნილობა საყვარელი არსებისადმი უანგაროდ და უანგარიშოდ და რამდენად მაღალი და უანგარო უნდა იყოს სიყვარული და მიძღვინლობა, რომ საყვარელ არსებას და საყვარელ საგანს დაგაშოროს... რამდენად მძიმე და მრისხანე უნდა ყოფილიყო ქათველისათვის საბჭოეთში გაბატონებული რეჟიმი, რუსული ძალადობა, მის მიერ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დათრგუნვა და რუსული მონობის უღლის სიმძიმე, რომ ეს მკაცრი გადაწყვეტილება მიეღო. თავისი თავი ასე ულმობელად დაესაჯა და სამშობლოს უზენაესი ინტერესების გამო, თვით სამშობლოს გასცლოდა?!

აი, ამ ღრმა განცდების შედეგად, ქართველების ერთი ნაწილი შეერთებულ შტატებშიც მოხვდა. მათი რიცხვი სულ მცირეა. ისინი გაფანტულნი არიან სხვა და სხვა შტატებში, ხოლო მათ აერთიანებს საზოგადოება „ქართულ სათვისტომოდ" წოდებული.

შეერთებულ შტატებში ახლად კერა დადგმულმა ქართველმა, თავის შინაგან მღელვარებასთან ერთად, ცხოვრების მძიმე გზაც გაიარა...მაგრამ შეგუების ბუნებრივმა კანონმა, ამერიკელი ხალხის გულგაშლილობამ, აქ არსებულმა ცხოვრების წესმა, მალე მისცა შესაძლებლობა, რომ ქართველს გამოეჩინა თავისი ღვთით ბოძებული ნიჭი, გამჭრიახობა და შემოქმედების უნარი. სულ მოკლე დროში ქართველობამ მოიპოვა თავისუფალი მოქმედების უფლება: ყოველმა მათგანმა აღიდგინა თავისი პროფესია და მის განვითარება-გაფართოვებასაც მიჰყო ხელი. ეს მცირე რიცხოვანი და სულ ახლო წარსულში ჩამოსახლებული ქართველობა უკვე მნიშვნელოვან ინტელექტუალურ ძალად გადაიქცა. თავთავის პროფესიის მიხედვით ისინი ამერიკულ მაღალ საზოგადოებაში შევიდნენ და მათი ნდობა და პატივისცემაც დაიმსახურეს. ამ ჟამად ჩვენ გვყავს რამოდენიმე სახელმოხვეჭილი პროფესორი, გამოჩენილი ექიმები, მაღალი ნდობით მოსილი და ავტორიტეტის მქონე ინჟინრები და სხვა პროფესიონალისტები.

ქართველების ამ პირად წარმატებას თან მოჰყვა ქართული საკითხის პოპულარიზაციაც. ყოველი ჩვენი თანამემამულე, თავ-თავის წრეში აცნობს ქართულ კულტურას, მის დიად წარსულს, ქართველი ერის ბნელბედობით აწმყოს და ჩვენი საიმედო მომავლისათვის ამზადებს ამერიკულ საზოგადოებრივ აზრს. ცხადია, ეს უფრო გაზრდის ამერიკელებში ჩვენი ქვეყნის ინტერესს და მას მეგობრების რიცხვს გაუმრავლებს. ქართველებმა შესძლეს შეერთებული შტატების თვით საკანონმდებლო ორგანო დაეინტერესებინათ და ამ ხნის განმავლობაში ორი წიგნი მიუძღვნა კონგრესმა საქართველოს; მის წარსულს, მის ბუნებას და მის მაღალ კულტურას.

მაგრამ ქართველების შემოქმედების უნარის ყველაზე მაღალი გამოვლინება მაინც 1964 წელს მოხდა. ეს წელი ამერიკაში პრეზიდენტის საარჩევნო წელი იყო. როგორც ცნობილია, ამერიკას ფლობს და განაგებს ორი პარტია: დემოკრატიული და რესპუბლიკანური. ქართველები, თავის პირადი რწმენის მიხედვით, ორივე პარტიაში, ქართველისათვის ჩვეული ენტუზიაზმით ამოქმედდა და მან თავისი ნაყოფიც გამოიღო. ორივე პარტიას აგონებდნენ, რომ მთელი კულტურული კაცობრიობის მიერ საყოველთაოდ აღიარებული ეროვნული თავისუფლების იდეა და ადამიანის უფლების საყოველთაო დეკლარაცია არ შეიძლება გადაიქცეს ერთი მატერიკის, ქვეყნიერების ერთი კუთხის კუთვნილებად და თავისუფლების შუქი ყველას ერთნაირად უნდა ეფინებოდეს. ქართველების ამ მხრივი მოქმედების ნაყოფიერების მღადადებელია რესპუბლიკანური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატის დეპეშა, როლითაც მან ქართველებს აცნობა, „მე ვაღიარებ, რომ ქართველი ერი ბევრად უფრო ადრეა შექმნილი და ჩამოყალიბებული, ვიდრე ევროპის სხვა ერები და გადაწყვეტილება, რომ ის უნდა იყოს თავისუფალი, ჩემის აზრით, თავისუფალი მსოფლიოსათვის სასიცოცხლო საკითხია ცივი ომის პერიოდშიო". ხოლო ახლად არჩეულმა ვიცე პრეზიდენტმა ჰუმბერტ ჰუმფრიმ, ჯერ კიდევ არჩევნების წინ, მაისის 26-ს, ქართული სათვისტომოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის 46-სი წლის თავის გამო გამართულ საზეიმო კრებას მიმართა: „ქართველებმა უკვე დიდი ხანია დაიმსახურეს მსოფლიოს პატივისცემა და აღტაცება თავისუფლებისთვის მიძღვნილობის გამო..." და დასძინა, "ამ შემთხვევაში თქვენ და თქვენი სანაქებო მუშაობა მთელ მსოფლიოს აგონებს, რომ თავისუფლება ყველა ხალხისათვის უნდა იყოს პატივცემული და დაცულიო". როგორცა ვხედავთ, აქ მყოფი ქართველები მმართველი ძალის ორივე მხარეზე ახდენენ გავლენას და არც ერთ პირობებში, არც ერთ გარემოებაში არ ივიწყებენ უბედო ბედში მყოფ თავის წარმომშობ ერს.

შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველების პირადი თუ საზოგადოებრივი წარმატებები არ შეიძლება ჩაითვალოს აქ მომქედ თანამემამულეების განსაკუთრებულ პირად უნარად, არამედ ამაში ვხედავთ ქართველი ერის საყოველთაო თვისებას. აბა გადავხედოთ საქართველოს ისტორიას! ის ხომ სავსეა მაგალითებით, როცა უბედობით სამშობლოს მოწყვეტილი ქართველი, არა მარტო აკეთილშობილებდა მის ტყვედ მქმნელ ქვეყანას, არამედ სახელმწიფოებრივი მმართველობის უმაღლეს მწვერვალსაც აღწევდა! სპარსეთის, ოსმალეთის და თვით რუსეთის იმპერიაც ხომ მოფენილი იყო სახელგანთქმელი ქართველი ადმინისტრატორებით, მეცნიერებით და ყველგან შემოქმედების მაღალ ნიმუშებს სტოვებდნენ!

ასევე ეროვნული თვისების გამოვლინებაა, დღევანდელი ჩვენი მეცნიერების, ჩუმი, მაგრამ მაღალი შემოქმედება თვით საბჭოთა კავშირში. იმ ქვეყანაში, სადაც პარტიული დადგენილებებით შებორკილია აზროვნება და სადაც ყველაფერი „უფროსი ძმის", რუსის „მითითებით" და მის სასარგებლოდ უნდა კეთდებოდეს:—აბა შეხედეთ, რა მიღწევები აქვს ჩვენ მეცნიერებს და დაუღალავი შრომით როგორ მიდიან შემოქმედების მწვერვალისაკენ! ეს არის ქართველი ერის ნიშანდობლივი თვისება, რომელიც ვერც ერთმა მპყრობელმა მას ვერ წაართვა და ვერც „უფროსმა ძმამ" რუსმა ჩაკლა.

რა ადვილი წარმოსადგენია ჩვენი ეროვნული შემოქმედების მიღწევები შინ და გარეთ, რომ ქართულ ნიჭს არა ხუნდავდეს მოსკოვის დადგენილებები, რომ ის რუსული იმპერიალიზმის მიერ მონობის არტახებში არ იყოს გაკრული, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთნოდეს და ჩვენვე ვიყოთ ჩვენი თავის უფალი და გამგებელი!

ვ. სანგულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკაკი.

(დასაწყისი იხ. პირველ გვ.!)

გულივით ფეთქავდა .

ამ დამბლადაცემულობაში საქართველოს ეროვნული სხეულიც იშლებოდა და მისი ცალცალკე ორგანოებიც საკუთარი ცხოვრებით იწყებდნენ ცხოვრებას. საერთო ეროვნული, ერთობილი იჩქმალებოდა. ამ დაქსაქსულობის სულისკვეთებას ხომ ხელოვნურად ქმნიდა ჩვენი ქვეყნის იმ დროინდელი მპყრობელი!

აკაკიმ სწორედ ამ გარემოებას მიაპყრო მთავარი ყურადღება და მიმართა ქართველ ხალხს: „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო“ და ეროვნული გაერთების იდეას აპკურა უკვდავების ნამი: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო“. ერის უკვდავების საწინდარს, ეროვნული მთლიანობის იდეას, ქართველი ერი ხარბად დაეწაფა და მას შემდეგ ეს გადაიქცა მთელი საქართველოს სანუკვარ საგალობელად.

აკაკი ჩასწვდა ერის მარადიულობის საიდუმლოებას, გახსნა მისი ქარაგმა...ამოიცნო აგრეთვე მპყრობელი ქვეყნის, მპყრობელისადმი მიმართული ვერაგული ხერხები და ქართველებს ხმა მაღლა უთხრა:

„გაუფრთხილდი, ნუ გჯერა,
„მაგის ტკბილი ნანინა,
„მაგან სხვაც ბევრი შენისთანა
„მოხიბლა, შეაცდინა“-ო.

ქართველი ერის ასაღვიძებლად, მასში ისტორიულ-ტრადიციული მებრძოლი სულის გამოვლინებისათვის, აკაკიმ, ქართველი ერის გმირობით და თავდადების მაღალი ნიმუშებით სავსე ისტორია გამოიყენა. ყველაზე ნიჭიერად ასახა ის ეპოქა, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი შემოკრება დაიწყო და თორნიკე ერისთავში გამოავლინა თუ რა შეუძლიან ერთობილ და ერთის ზრახვით განმსჭვალულ ქართველ ერს.

აკაკიმ თორნიკე ერისთავით აჩვენა თავის თანამედროვე ქართველებს, რომ გაერთიანებულ საქართველოს, თავისი მხნე და გმირული ბუნებით, შეუძლიან არა მარტო თავისი თავის დაცვა, არამედ მეგობრისა და მოკეთის დახმარებაც და დასძენს: „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაში ვარსკვლავები? ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარმკლავებიო“

აკაკი ისტორიული თემების გამოყენებით ქართველ ხალხში ანთებდა წარსულისადმი სიყვარულს და მომავლის იმედს. ის ქართველ ხალხს აგონებდა, რომ „ხე ცხოვრებისა არ გახმარა, მას ასაზრდოვებს უკვდავების წყარო“ და დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ის „კვლავ ამოიყრის ფესვებს“, ხოლო ამისათვის საჭიროა თვით ქართველმა ერმა „ალათას ძილს“ თავი დაანებოს, გამოიღვიძოს, ხელი გაანძრიოს და თავისი თავი იწამოს. აკაკი გულმართლად ამბობს: „საქართველო ჩვენი ცხოვრების ხეა...სანამდეს მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს რა...

„ხე, როგორც მცენარე მოურწყველად ვერ იხარებს; ისე ეროვნების ხესაც, ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად, ოფლთან ერთად, წმინდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავად! ამგვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა, და დღეს, თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ“.

აკაკი იმდენად ღრმადა სწვდება სამშობლოს იდეას, იმდენად გატაცებულია საქართველოს მარადიულობით, რომ ამას თვით რელიგიაზეც კი მაღლა აყენებს. მისი სიტყვით:

ჩემი ხატია „სამშობლო,
„სახატე მთელი ქვეყანა
„და რომ ვიწოდე, ვდნებოდე,
„არ შემიძლიან მეც განა“?

კითხულობს მგოსანი. მართლაც აკაკი იწოდა, სამშობლოს საკურთხეველზე, ვით წმინდა სანთელი, იღვენთებოდა და მისი დაფ-დაფის ცემა აღვივებდა გარდასულ ქართველთა გმირულ სულს.

„მაგრამ იცით ჩემი სატრფო ვინ არისო? კითხულობს პოეტი და იქვე უპასუხებს: „ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი, ფეხშიშველა, თავზე ლეჩაქ ახდილი..“

მაგრამ იქვე იმედიანად დასძახის:

„ალვის ხეს ალი მოედვა,
„მაგრამ ხე ჰყვავის არ ხმება,
„რა უცნაური ცეცხლია,
„რომ ნამდვილს არ ეთანხმება...“

აკაკიმ მონობის არტახებში გაკრული საქართველო იმ ამირანს შეადარა, რომელზეც ქართველ ერს სწამს:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
„იმ ჯაჭვს გასწყვეტს
„გმირთა გმირი, სიხარულით შეეცვლება
„ამდენი ხნის გასაჭირი“

აკაკი წერეთელის პოეზია ნაზია...ნაზი ვით ლოცვა და მოლივლივე, ვით მთის წყარო, მაგრამ ამავე დროს ის მრისხანებით ბობოქრდება, როცა სიტყვა ქართველსა და საქართველოს ეხება.

აკაკი, როგორც სინაზის, ისე მრისხანების დროს ქართველია...საქართველოს უკეთესი მომავლით გულგამსჭვალული. როგორც თვითონ ამბობს:

„ერთი რამ მკლავდა მხოლოდ მე
„და მისივებდა ის გულსა,
„რომ ჩემს სამშობლოს ვხედავდი
„სხვისაგან დამონებულსა.“

მაგრამ ის იმედიანიც არის. მას სწამს რომ „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“. ამ რწმენას უნერგავს ქართველებს და აქეზებს: „და როდესაც გაიღვიძებს, მოიგონებს იმათ სახელს, ვინც დღეს იმას არ ივიწყებს“.

ასეთ შემთხვევებში აკაკის პოეზია განრისხებული მებრძოლის ყიჟინაა: „რაც ძალადობით წაილეს, ვინ დააბრუნებს ნებითა? ვინ ნახა თავისუფლება ტანჯვით და მოთმინებითა, აი რას ამბობს რუსთველი, სულმნათი, ყვავილოვანი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

აკაკის არც დედათა სქესი გამორჩენია გმირების აღზრდის როლში და ის ქართველ ქალებს აგონებს, რომ „საქართველოს ისტორიის შესწავლა თვალ და თვალ დაგვანახვებს, რომ ჩვენს წარსულ ცხოვრებაში უმეტესი ღვაწლი მიუძღვის დედათა სქესს...მარაბდის ომში სადაც ცხრა ძმა ხერხეულიძე ერთ დღეს მოიკლა, უკანასკნელ შვილს, მომაკვდავს, ჩამოართვა ხელიდან ბაირაღი მოხუცმა დედამ...იმ დროს სძლია ქართველმა ქალმა დედობას და თვითონ წარუძღვა წინ ქართულ ჯარს“-ო.

ქართველი ქალის მოვალეობის უკეთესი წარმოსახვა შეუძლებელია...აკაკი თანამედროვე ქალებს მოუწოდებდა მიებაძათ წინაპრებისთვის, გამხდარიყვნენ ღირსეულნი ასულნი ღირსეული დედების და ნატრობდა, რომ „სულიცა მათი“ შემოენახათ.

აკაკი არ არის ვიწრო აზროვნების პოეტი-მებრძოლი. ტყუილად ხომ არ ამბობს: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანაო“. მას მთელი ქვეყნისთვის, ყოველი ერისთვის ემეტება ბედნიერება, მაგრამ ის გადაჭრით მოითხოვს, რომ ამ „სახატეში“, მისი „ხატიც“ ცოცხლობდეს და ხარობდეს. ამისათვის დაეძებს აკაკი გმირებს და თან არიგებს, რომ „სრული ვაჟკაცი არ არის ის, ვინც მარტო ხმალს ხმარობს და ფარის გება კი არ იცის; აგრეთვე ვინც ხმალის ქნევა არ იცის ,მაგრამ ფარს კი აგებს. არა! ვაჟკაცმა ორივე უნდა ერთნაირად იცოდეს და ორივეთი უნდა იყვეს აღჭურვილიო“.

მებრძოლი ვაჟკაცის ამ ორი თვისების ასე სხარტად გამოთქმას მარტო ილია თუ შეედრება, როდესაც ამბობს: „დროის შესაფერი ხერხი უნდა ვიცოდეთო“.

იშვიათია პოეტი და მებრძოლი, რომელსაც სიცოცხლეშივე ენახოს მის მიერ მიმობნეული თესლის ამოსვლა და პოეტი გახარებული ამბობს: „დღეს ის თესლი ამოსულა, დამწიფებულს ვხედავთ პურსა, ნამგალს ითხოვს, სხვას არაფერს და სხვანაირ სამსახურსაო“.

ხოლო აკაკიმ თავის დაფ-ნაღარაზე შემოგროვილი გმირებიც რომ დაინახა...როცა დარწმუნდა, რომ ქართველმა ერმა იპოვა თავისი პიროვნება და „თავის ვინაობის“ აღსადგენად მასიურად ამოძრავდა, მაშინ პოეტმა თავის სანუგეშოდ დაიმღერა: „ნუ, პოეტო! ნუ, ნუ სტირი! ბედის ვარსკვლავს ვხედავთ რაკი! კმარა გლოვა! საქმის დროა! მსხვერპლი გვინდა და ზვარაკიო“.

„ალათას ძილიდან“ გამოსულმა და ამოძრავებულმა ქართველმა ერმა სიცოცხლეშივე დაადგა აკაკის დაფნის გვირგვინი.

რადგან აკაკიმ ამოიცნო ერის საიდუმლოება და მის მიერ დარგულმა ნერგმა ყლორტები ამოიყარა, ამიტომ ყოველმა ქართველმა თავის გულში მიუჩინა მას ბინა.

აკაკი გრძნობდა, როგორ ელოლიავებოდა მას ქართველი ხალხი და გახარებულმა წამოიძახა: „წარსულ ნერზე ახალ ნერგის ველოდებით შეხორცებასო“.

ამგვარად დამსახურებულმა და მადლმოსილმა მგოსანმა 1915 წლის იანვრის 25-ს, ძველი სტილით, სამუდამოდ დახუჭა თვალი თავის მშობლიურ საჩხერეში.

მაგრამ მადლიერ ქართველ ერს ახსოვდა აკაკის ამონაკვნესი: „დედა შვილობას ბევრს არ გთხოვ შენს მიწას მიმაბარეო“, როცა მან მთაწმინდას მიმართა და ქართველმა ერმა ეს უკანასკნელი ნახნატრიც შეუსრულა მას.

ეს თითქოს სიმბოლიურიც იყო...თბილისი ხომ საქართველოს გულია. ეს არის ჩვენი მაჯის ცემის გამომხატველი...თბილისი ქართველი ერის მთლიანობის, საქართველოს მარადიულობის, მისი უკვდავების საწინდარია.

ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ სწორედ თბილისში, საქართველოს დედა გულში, გაითხარა სამშობლოსათვის წმინდა სანთელივით ჩამქვარი მგოსნის საფლავი.

როგორც თვით აკაკი იტყოდა: რათა „საქართველო გულზე ედოს ვით სამარის ქვა, ზედ იწერება: სადაც ველარ სჭრის მოთმინება და შორსმჭვრეტელობა, იქ სჯობნებია გამბედაობა და ღვთის ნამდომი უეჭველობა“.

## რუმინეთის გამორკვევა.

ჯერ კიდევ გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირი, მისი კომუნისტური პარტია—კრემლის „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“, —ს უზარმაზარი სოციალისტური ბანაკი, რომელიც ხრუშჩოვის ტრაბახით, ასეულ მილიონებს ითვლის, რკინის სალტეებით შემოგარგნილი, გრძელ და განიერ სივრცეზე გადაჭიმული, ერთ ცენტრს დამორჩილებული, სადაც არის უნდა დაინგრას და დაიშალოს.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კომუნისტური ჩინეთი, აღოსავლეთ ევროპის სატელიტი სახელმწიფოები და სხვა მრავალი ქვეყნების კომუნისტური პარტიები, მოჩვენებით მაინც, მთლიან მონოლიტურ ბლოკს წარმოადგენდა და წამდა-უწუმ თავისუფალ მსოფლიოს დაქცევით ემუქრებოდა. ხოლო ყოველ მოძრაობას, იქნება პოლიტიკური, სოციალური, თუ რელიგიური, თან ჰყვება სწრაფი განვითარება, აღმავლობა და შემდეგ დაღმა დაქანება და დეკადანსი. ყოველი ცივილიზაციის საზოგადოებრივი წყობა, იქნება ეს ფეოდალური, კაპიტალისტური, თუ სოციალისტური, შემცველია თანდაყოლილი, როგორც ჰარმონიული, ისე შინაგანი წინააღმდეგობითი მოვლენებით. ასევე ყოველი ერის წიაღში ერთ პერიოდში სწარმოებს მშვიდობიანი სამეურნეო შრომა, კულტურული და მატერიალური ღირებულების შექმნით. ამ ხანგრძლივ საქმიან შემოქმედებას, ნივთიერ კეთილდღეობას, ხანგამოშვებით პოზიტიურ პროცესებს თან მოსდევს უარყოფითი პროცესები: პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალურ ძალთა ჭიდილი, მათი ინტერესების დაპირისპირებით წარმოიშობა ანტაგონიზმი, რაც ხშირად სასტიკ ბრძოლის ხასიათს ღებულობს (სამოქალაქო ომი, რევოლუცია და სხ.), ასეთივე პრო-

## ისლით დახურულ ქოხში.

(მოთხრობა)

1937 წელს ქარბორიო ჩამოგრიალდა რუსეთიდან და რისხვა მისი საქართველოსაც სწვდა... რადგან სწვდა, ეძგერა ყველას, ბრუნდსა და გამართულს...ყველას ერთად დაერია, დაგრიალდა მრისხანე ქარიშხალი... ამას ეძგერა, იმას ეცა გასაგუდავად...სადღაც კორიანტელი ააყენა...ვიღაცას უკუნეთ ღამეში მიაკითხა და ოჯახი აუფორიაქა...

ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, ეს ბეწვი კიდევ ერთს დაწესელბულებაშია, სადაც მის მოზიარეს ქუდი, რომ შეუგდო, გამოსატანად არ მიაკითხავს, თუ მას არ მიაკითხეს...მაშინ ქუდთან ერთად, თავსაც წააცლიან..

ჰო, და გორგასლანის სატახტო ქალაქის, რომელსაც მხოლოდ სახელიღა შერჩა თავისი, სწორედ ამ ქალაქის ერთ დაწესებულებაში გადაწყდა: „თვალთმაქცობისა და ხალხის მტრებთან ახლო კავშირის გამო, მოიხსნას სამუშაოდან“-ო.

საბჭოეთში მოხსნა თუ გაკმარეს, ხალისით უნდა იკმარო...ამგვარი საბუთით კი ადამიანი ფონს ვერ გავა...იგი „საგზურად“ თუ გამოადგება შორეულ ქვეყნებისაკენ.

ტფილისის საშუალო სკოლის მასწავლებელს უჩა იმერიძეს, წილად ხვდა „ბედნიერება“ ამგვარი ქაღალდისა; და მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად ტფილისს გაერიდა და მშობლებთან წავიდა. სოხუმის მატარებლის ერთერთი ვაგონის, ერთერთი კარი მორიდებულად შეაღო და მორიდებულად მოკალათდა ერთერთ კუთხეში. მორიდებულად იმიტომ, რომ იქნება „ვიღაცას“ არ მოეწონოს შენი სახე, და შეიძლება ამ „ვიღაცამ“ მოურიდებლად მიაკეროს მორიდებულს ხალხის მტრის სახელი და მორჩა და გათავდა...

***

განთიადისას მატარებელი ნოჯიხევის ბაქანთან ჩამოდგა. წვიმიანი დილა იყო. შემოდგომის ქარი საშინლად სცემდა და წვიმა საცერივით ცრიდა. ზღვაური ცხვირპირში სცემდა კაცს სისველეს. რკინიგზის ბაქანიდან ხუთი კილომეტრია დაბამდე. უჩას ტლაპოში გავლა შეეზარა. ბაქანს თვალი მიმოავლო. იქ სამიოდე ფიცრული იდგა. ერთში დაფნისა და ჩაის ფოთლის საწყობია, მეორეში კიდევ რკინიგზის ცეცხლმქრობელი რაზმის ბორბალმოცვეთილი კასრი დგას. ამ კასრის იმედით მოსალოდნელ ხანძართან შებრძოლებას აბა რა აზრი უნდა ჰქონდეს. მესამე ფიცრული კი, წაფერდებული, დაღლილი მგზავრივით მიწოლილიყო ბაქანთან დაზვინულ ხრეშთან, რომელსაც ქარისაგან ნახევრად მოგლეჯილი აბრა შერჩენოდა წარწერით„...დილო „ოდიში“. ამ სასადილოს წინ ეტლი იდგა. მეეტლეს ძველი ნიკოლოზისეული დროის „მუშამბა“ რაღაც სასწაულით შერჩენოდა და შიგ გახვეულიყო. წვიმისაგან თავს იფარავდა. უჩა იმერიძე უმალ მასთან გაჩნდა. თავაზიანად მიესალმა იგი მეეტლეს, მეეტლეც თავაზიანად გაეპასუხა და ახლად მოსული ხარბად აათვალ-ჩაათვალიერა.

—წამიყვანთ დაბაში?

ჰკითხა უჩამ.

—წაგიყვან პატონ მარა...!

მეეტლემ ხელი გვერდებჩაზნექილ ფიცრულისაკენ გაიშვირა.

—წყალწასაღები მემთვრალე ქეიფობს!

—ვინ მემთვრალე?

იკითხა უჩამ.

—რაიონის მელიციის „ნაჩალნიკი“, წყალწასაღები! სთქვა მეეტლემ და ერთი მაგრად შეუკურთხა.

—ტყატმაფას წეულია მაგენის თავი. ეტლის ქირას არ მაძლევენ... ნალოგს ქე ღებულობენ ჩემგინ, ნალოგი გადაიხადეო, გაქვს თუ არა ეს ჩვენ არ გვეხებაო.

რაღაც თავისთვის კიდევ წაიბურტყულა მეეტლემ და სასადილოში შევიდა. უჩა იმერიძე გარედ ელოდებოდა, მეტი რა გზაა, ხუთ კილომეტრს ამ ლაქაშებში კამეჩი ვერ გატოპავს. უცბად სასადილოს კარი გაიღო და მეეტლემ ხმა მაღლა დაიძახა:

—აბა ულა!*

ცხენებს სინესტისაგან დამძრალი ყურები დაუსრისა. „ჯორას“ თავზე ხელი გადაუსვა მოფერებით და „გერას“ რატომღაც შეუბღვირა.

—გერა დიდი უჯიშო ცხენია პატონი!

უთხრა უჩას და განაგრძო თხრობა.—კურსებზე მყავს აქანე აყვანილი.. კოლმეურნეობამ მომაბარა, ეტლში სიარულს დააჩვიეო!

თავის „ჯორას“ ერთხელ კიდევ მიუალერსა და ეტლის კოფოზე თავი ამოჰყო.

—შვიდებით, შვიდებით!

მოისმა ხმა და ბრგე ვაჟკაცი უჩა იმერიძეს წინ გაიჭიმა. რაიონის მილიციის უფროს უჩასათვის არც კი შეუხედია; მედიდურად გაემართა ეტლისაკენ და შიგ ჩაეშვა. სიმძიმისაგან ეტლი საგრძნობლად ჩაიზნიქა. რაიონის მილიციის უფროსი შუა ადგილზე გამოიჭიმა. ფეხები წინა საჯდომზე გამართა...ერთი სიტყვით, მთელი ეტლი მოინდომა. უჩა იმერიძე მორიდებულად სდგას, ეტლში ჩაჯდომას ვერ ჰბედავს.

—დოზოჯი პატონი!

თავაზიანად მიმართა მეეტლემ იმერიძეს. უჩა როგორც იქნა მოკალათდა ეტლში. ეტლიდან რომ არ ჩამოვარდნილიყო, ცალი ფეხით ეტლის კიბეს დაებჯინა. მილიციის უფროს ხმა არ ამოუღია. მიეძინა. ეხლა ეტლი დაიძრა, როგორც იქნა. მილიციის უფროსის ფეხები, ამ პატარა ალაგზეც არ აყენებს უჩა იმერიძეს. გარდიგარდმო გაშალა ფეხები, ლამის ეტლიდან გადააგდოს.

—ვაი ჩემს დღეს, არ მერჩია ფეხით წასვლა? საცაა მიწაზე დავენარცხები!

სთქვა თავისთვის უჩამ.

ამასობაში ეტლი დაბაში შევიდა...იქკიდევ დიდი ვაივაგლახით რაიონის ბრძანებელი ეტლიდან გადმოიღეს და სახლში შეიტანეს.

***

უჩა ეზოში რომ შევიდა, დედამისი დერეფანში იდგა და საკენკს უყრიდა ქათმებს. კრიახ-წრიაქით შემოსეოდნენ დერეფანს ქათმები, ინდაურები და ბატები. „აქშა, აქშა“ იძახოდა ქრისტინე და ავყიებს აპურებდა. შავმა მურიამ თვალი მოჰკრა თუ არა ეზოში უცხოდ შემოსულს, უმალ გაჰქანდა დასაგლეჯად, მაგრამ დასაგლეჯი მიესალმა; მურიამაც იცნო, კუდი აუქნია-დაუქნია, დაუყვავა და ყეფა-ყეფით შინ გაუძღვა.

—უჩა სქანგოლკაფირო!

შესძახა დედამისმა და გუშლი ჩაიკრა თავისი პირმშო. უბანმაც მაშინვე შეიტყო უჩას შინ მოსვლის ამბავი, მოადგნენ ღობესთან უბნის დედაკაცები და დუტუ იმერიძეს მიულოცეს შვილის დაბრუნება. სახლი მნახველებით აივსო. კითხვებს სხაპასხუპით აყრიან ქართიდან მოსულს. ხუმრობა ხომ არ არის? უჩა ტფილისშია აზრდილი და ტფილისი ცუდს გაზრდიდა? ასე ფიქრობდა ყველა.

მეზობლები წავიდ-წამოვიდნენ. რამე-რუმე გამოჰკითხა მშობლებს და დაქვრივებულ ძალუას.

—ბაბა, ბიძია ივაკი რას შვრება, როგორაა?

—შენს მტერს შვილო. აშტრახანი* ჩამოიტოვა უკან!

—რავა?

—კოლმეურნეობის საველე ქუხნას ემსახურებოდა მზარეულად...სადილი გაემართა და ნასადილევს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მუცლის გვრემა დააწყებია, არაფერმა უშველა.. დიდი ხნით ჩააწვინა ლოგინად.

—მერე და მის მუცელს რა აქვს საერთო ბიძაჩემთან?

*). აბა წასვლა!

*) ასტრახანი.

ცესების მატარებელია ერთა და სახელმწიფოთა შორისო ურთიერთობა, რასაც ემატება უფრო ფართო ძლიერების ურთიერთ გამანადგურებელი ომები. სოციალიზმის იდეოლოგების აზრით, საზოგადოების განვითარების ისტორიული პროცესი, შინაგან წინააღმდეგობათა შემცველი, გაბატონებული კლასების საზოგადოებრივ ფორმაციების გარდაუვალი გარდაქმნით, მათი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიურ სისტემის მოსპობით და ახალი ჰარმონიული საზოგადოების ფორმის,—სოციალიზმის წარმოშობით მთავრდება, სადაც ამ შინაგან წინააღმდეგობებს ადგილი აღარ ექნებოდა. მათვე სწამდათ, რომ თვით საზოგადოების შიგნით ყოველგვარი ინტერესთა დაპირდაპირება, ანტაგონიზმი, ბრძოლა და სახელმწიფოთა დამოკიდებულებაში,—კონფლიქტი, ომი და სხვა ასეთი მავნე მოვლენები, საბოლოოდ გაჰქრებოდა,—მუდმივი მშვიდობა, სიყვარული და კაცთა შორის სათნოება დამყარდებოდა.

ეს ილუზიები, რეალობაში საპნის ბუშტივით გასქდა და ახლა, როცა მრავალი სოციალისტური ქვეყნები უკვე არსებობს და მარქს ლენინიზმის საფუძველზე, თითქმის, კომუნიზმსაც კი აშენებენ, უნდა დავადასტუროთ, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა შორისაც ინტერესთა წინააღმდეგობა, უთანხმოება და ურთიერთ დაპირისპირება, ისევე გარდაუვალი და აუშორებელი ყოფილა, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში და მათ კი მხოლოდ ამ უკანასკნელების აუცილებლობად მიაჩნდათ. როგორც გამოირკვა ეს მათთვისაც დაუძლეველია.

ახლა ეს დაშლის და ნგრევის საფრთხე დაკაპიწებული, ხმალ ამოწვდილი, ყოველი მხრიდან კრემლის ალაყაფის კარებსაც ადგება, რაც კრემლის ლიდერებს და მათ კომუნისტურ პარტიას მეტად ნერვიულ მდგომარეობას უქმნის. ხოლო უცხოეთის კომუნისტურ პარტიებში კი—არევ-დარევას, დავას და განხეთქილებას იწვევს. უფრო ძლიერი ქარი მაო ცედუნის ჩინეთიდან ჰქრის. (განა მან არ სთქვა: აღმოსავლეთის ე. ი. ჩინეთის ქარი დასავლეთისას (საბჭოთა კავშირისას) დასძლევსო!). მაინცა და მაინც ნელთბილი, საამო სიო არც სატელიტებიდან უბერავს. მოსკოვის წინააღმდეგ, აზვირთებული შვიდასმილიონიანი, შორეულ ჩინეთის საბრძოლო ყიჟინა (იდეოლოგიური დავა, აზიაში ჰეგემონიის პრეტენზია, ტერიტორიალური მოთხოვნილება, საზღვრების გადასინჯვა, საბჭოთა კოლონიურ იმპერიის დაშლა და სხ.), აღმოსავლეთ ევროპის სატელიტ ერებში მხურვალე გამოძახილს პოულობს. ამ ჟამად, პირველ რიგში, რუმინია სდგას: კრემლის მორჩილებას ნელი-ნელ თავს აღწევს და ფრთხილად დამოუკიდებლობისაკენ იკაფავს გზას.

საეჭვო აღარ არის, რომ რუმინიაში, ეს ერთი ხანია, ორტოდოქსულ კომუნისტურ თვალთახედვით, რაღაც არაჩვეულებრივი რამ ხდება, კრემლის წინააღმდეგ მიმართული, მისი ჰეგემონიის დასაუძლურებლად. რის შესახებ აქამდის ყველანი დიდის მორიდებით და სიფრთხილით სწერდნენ, თუმცა მსოფლიო პრესა მას საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას აკუთვნებდა. ახლა ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი ნიშანდობლივი ფაქტების ჩვენებით, თუ საბოლოო დასკვნას ვერ გავაკეთებთ, აქეთკენ მიმართული ტენდენცია მაინც აღვნიშნოთ.

უსათუოდ ჯერ კიდევ დრო არ დამდგარა გადაჭრილ მტკიცებისათვის, ხოლო ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, შეგვიძლიან დავადასტუროთ მომხდარი ცვლილებანი, რომლის დამახასიათებელი მოვლენები ყველასათვის აშკარაა და თუ ეს ჯერ კიდევ ბოლომდის არ არის მისული, მაინც შესაძლოა ამ გეზის თვალის გაყოლება, რომლის უკან შემობრუნება ტკბილი ლაპარაკით და დაპირებებით მოსკოვს აღარ ძალუძს. მუქარით, დაშინებით და შინაურ საქმეებში ჩარევით, სერიოზულ არევ-დარევას გამოიწვევს, როგორც რუმინიაში, ისე სხვა კომუნისტურ პარტიებში, შეიძლება თვით საბჭოთა კავშირშიც.

თვით რუმინელებიც აღარ ფარავენ თავიანთ სურვილს, მტკიცე ნებისყოფას და დამოუკიდებლობისაკენ შეუდრეკლად მიისწრაფიან, ხოლო მათ ჯერ კიდევ არ უნდათ, რომ საბჭოთა კავშირის ორბიტს ამბოხებით გაუსხლტნენ. ასეთი გადაჭრით შებრუნება, ან უარყოფა საბჭოთა სისტემისა, მოსკოვთან დაუყონებლივ კავშირის გაწყვეტა, შეუძლებელიც იქნება, ჯერ ხნობით მაინც, რადგან რუმინიის ხელმძღვანელებისათვის საჭიროა ფართო მასებზე, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ კომუნისტურ პარტიის ძლიერ ორგანიზებულ აპარატზე და უფრო მეტად მთლიანად რუმინელ ხალხის ანტირუსულ განწყობილებაზე, თანდაყოლილ სიძულვილზე დაყრდნობა, რომ დამოუკიდებლობისკენ აღებული გეზი უმტკივნეულოდ და უხიფათოდ ჩატარდეს.

ამ გეგმის აღსრულებისათვის საჭიროც არ არის აჩქარება. პოლიტიკურ და დიპლომატიურურ მანევრებას, ოპორტუნისტურ პირობებთან შეფარდებით მოქმედებას, მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მთავარი მიზანი: ნაკლები მსხვერპლის გაღებით განთავისუფლდეს კრემლის თავაშვებულ მეურვეობისაგან. რუმინია, ისე როგორც პოლონეთი, იუგოსლავია და შემდეგ, ალბათ, ყველა დანარჩენი სატელიტები, თუ მოსკოვის ბატონობას თავს დააღწევენ, პირველ ხანებში, სანამ ნამდვილ დემოკრატიულ გზას დაადგებოდნენ, ერთ პარტიულ სისტემას ადვილად შეეგუებიან. ამ ჟამად რუმინელების გადაუდებელი მოთხოვნილებაა, საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ხელყოფისაგან რაც შეიძლება მალე გაინთავისუფლოს თავი. ამისათვის რუმინიისათვის უფრო ხელსაყრელი და გამოსადეგიც არის კაპიტალისტურ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა დროულად აღსდგეს. კომპლექსური ინდუსტრიალიზაცია გაგრძელდეს იმ მიმართულებით, იმ დარგში, რომელიც მათ საჭიროდ მიაჩნიათ, რაც ერის სასიცოცხლო ინტერესებს და არ წარმოადგენს სხვის მეურნეობის უბრალო დამატებას, როგორც ეს დაგეგმილი ჰქონდათ საბჭოთა ეკონომისტებს, სადაც გათვალისწინებული იყო მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ინტერესები და სარგებლობა.

დიდი გამჭრიახობა და დაკვირვება საჭირო არ არის გამოვიცნოთ ბუხარესტის ნამდვილი განზრახვა, მისწრაფება: თავი დაიხსნას მოსკოვის პოლიტიკური და ეკონომიური მორჩილებისგან და საკუთარ ავტონომიურ გზას დაადგეს. შეგვიძლია ამას დავუმატოთ, რომ ეს მისწრაფება-გადაწყვეტილება გუშინ არ დაწყებულა. ის დიდი ხნიდან არის შემზადებული. ეს ვერ განხორციელდება დასავლეთის მხარდაუჭერლად და დაუხმარებლად. ამის გამო იყო, რომ გასულ წელს რუმინიის მთავრობამ სიფრთხილით, მაგრამ ენერგიულად მოსინჯა საამისო ნიადაგი ჩრდილოეთ ამერიკის მიმართულებით და იქ მოსალაპარაკებლად დელეგაციაც გაიგზავნა. პირველი უშუალო შეხვედრა მთლად უიმედო არა ყოფილა. მაინც სიფრთხილე, დიდი ტაქტი იყო საჭირო, რადგან დემონსტრატიული გამოსვლა ზიანის მეტს არაფერს მოიტანდა, მოსკოვს კი ზედმეტად გააღიზიანებდა და შურისძიებით აღძრავდა. კიდევ აუცილებელი იყო ცოტა მოთმინების გამოჩენა, დაცდაც, განსაკუთრებული საერთაშორისო მდგომარეობის გამოყენება, რომ გაადვილებულიყო ეს უჩვეულო, დელიკატური დიპლომატიური ნაბიჯები, რომელსაც მოსკოვი დასახავდა მის წინააღმდეგ მიმართულს რასაც შეიძლება ურთიერთობის გამწვავებაც მოჰყოლოდა.

საბჭოთა კავშირის და იუგოსლავიის დაახლოვებამ, პეკინ-მოსკოვის გაცხარებულ იდეოლოგიურმა დავამ, მათში გართულებულ დამოკიდებულებამ, რუმინიისათვის შესაფერისი მომენტი შექმნა გაბედულ მოქმედებისათვის; მოჭერილ სალტეების მოშვებისა და მოსკოვის მეურვეობის სიმძიმის მოცილების შესაძლებლობისა. ან ვის რა უნდა დაუშავდეს რუმინიის დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოებით? მით უფრო, მოსკოვის მტკიცებით, ის ხომ სუვერენული სახელმწიფოა! მაშ, მას რად უნდა ეკრძალებოდეს საკუთარ თავს ისე მოუაროს, როგორც ეს მას სურს, როგოც ეს მისთვის სასარგებლოა? ახლა ხომ მაინც კრემლი კარგ განწყობილებაშია ტიტოსთან, რომელიც პოლიტიკურად მოსკოვიდან სავსებით დამოუკიდებელი და თავისუფალია. სოციალისტურ ბლოკში არც ის შედის, იუგოსლავიის კომუნისტურ ლიგას ხომ არავითარი კავშირი არა აქვს კომუნისტურ ინტერნაციონალთან. იუგოსლავიის ასეთი პოზიციით საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას სრულებით არაფერი უშავდება, მისი საქმე უმეტის შემთხვევაში კარგად მიდის. მით უფრო ჩინელი კომუნისტებიც, მოსწონს თუ არ მოსწონს, სწორია თუ მცდარი მათი ოპოზიცია, მოსკოვიდან ჩამოშორებას იმით ამართლებენ, რომ მათ ამიერიდან აღარ სურთ მუდმივად კრემლის სატელიტად დარჩენა და მათი ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებლები იყვნენ. მაშ რუმინელ კომუნისტებს ეს უფლება რად უნდა წართვას?

მართალია, მოსკოვის ბელადებს ჩინელების ასეთი თავის მართლება სასაცილოდ არ ყოფნით, მაგრამ, რომ მსოფლიოს წინაშე პირნათლად გამოვიდნენ და ჩინელები გაამტყუნონ, მათ უნდა მოხსნან შემზღუდავი კონტროლი, შეამსუბუქონ ცენტრალიზმის დამძლეველი მუხრუჭები. კომუნისტურ ბლოკის სახელმწიფოებს მისცენ თავისუფლება და ავტონომიურ მოქმედების საშუალება. როცა რუმინელებმა დაინახეს რომ ჯერ ბელგრადმა და მერე პეკინმა მოსკოვის მიმართ ურჩობის მეშვეობით დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობის გზა გაიკაფეს, მათაც არ დააყოვნეს და ამ გზას გაჰყვნენ. ისარგებლეს იმით, რომ მოსკოვი სიტყვიერად მაინც სცნობს ერთა თავი**სუფლებას და ამიტომ ერთგვარ უძლურებას გამოიჩენს, ჩინელების საქციელის ფორმალურად გაკიცხვისათვის, ეს მომენტიც მათთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. ასეთ ბედნიერ გარე**მოების იმედი მათ არ ჰქონდათ, არც მოელოდ**ნენ, უკან დახევა და ყოყმანი კი მათ აღარ შეეძლოთ; ამნაირად მოსკოვიდან თავის დახსნის გზა სინამდვილედ იქცა.**

მოსკოვის განწყობილების გამოვლენის მიზნით, მათ საბჭოთა წარმომადგენლების რეზოლუციას, საერთაშორისო უმაღლეს ინსტანციებში არა ერთხელ მისცეს ხმა წინააღმდეგ. გაერთიანებულ ერების სხვა და სხვა კომისიებში სიტყვითაც კი გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ. რეაქცია თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. შეეძლოთ კი უკმაყოფილების და განრისხების გამოჩენა, აშკარა მკაცრ ფორმებშიაც რადიო გადმოცემებში და გაზეთებში მათი დატუქსვა. მოსკოვმა დუმილი და მოთმინება ამჯობინა რუმინელ კომუნისტების კადნიერ მეთაურების მიმართ. რუმინელებზე მარტო სიტყვიიერი დამუქრებით შესამჩნევ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდნენ, განსაკუთრებული ზომების მიღება საქმეს უფრო გაართულებდა, ამიტომ მოსკოვი ჯერჯერობით ამას მოერიდა.

ამასთანავე ოფიციალურად გამოცხადდა, ვაშინგტონ-ბუხარესტის მოლაპარაკების თანახმად, ორივე სახელმწიფოს ლეგაციები საელჩოების რანგზე იქმნეს აყვანილი. მეტად მნიშვნელოვანი სავაჭრო ხელშეკრულება იქმნა დადებული. ასევე, ამერიკა, რუმინელებს დაპირდა ატომური რეაქტორის მოწყობას, რომლითაც შესაძლებელი გახდება ელექტრონის ენერგიის გამოყენება და მრეწველობის განვითარების გადიდება. უფრო მეტი იმედების მომცემია მშვიდობიანი აღებ-მიცემობის პერსპექტივები. რუმინელების სურვილიც სწორედ ეს არის. ამერიკელები, როგორც სჩანს, მზად არიან, ყველა მათი მოთხოვნილება მასიურად დააკმაყოფილონ, იმ ზომად, რომ ის პოლიტიკური ცვლილებები და სულიერი განწყობილება, რომელიც კომუნისტური ქვეყნების ჰორიზონტზე ასე ღიად ისახება, შემდეგ გაორკეცდეს, რათა ამ სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს.

ამას წინად, მარშალ ტიტოს და რუმინიის კომუნიზმის ლიდერის—გიორგიო დეჟის პი-

---

—ხალხის მტრობა დააბრალეს და...!

ისლით დახურულ ქოხში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა...ბოლოს დუმილი ისევ უჩამ დაარღვია და მშობლებს კოლმეურნეობის ამბავი გამოჰკითხა:

—ვისი სახელობის კოლმეურნეობაში ხარ ბაბა?

ჰკითხა უჩამ საყვარელ მამას, რომელიც კოლმეურნეობის ხსენებაზე აიმრიზა მეტად.

—დიმინტრიეს* სახელობის შვილო!

ცივად მიუგო შვილს კოლმეურნეობით გაჯავრებულმა.

—ახლა ლარმენტიესია შენ დაგენაცვლოს ბიცოლა შენი.

ჩაერია მამა-შვილის ლაპარაკში ძალუა და განაგრძო,—როცა პირველად კოლმეურნეობა დაგვიარსეს მაშინ რიკოი* ვიყავით; მერე ქართველიშვილად გვაქციეს, ეხლა ლარმანტიეს* სახელზე ვართ გაწერილი!

ჰყვებოდა ძალუა გულმოდგინებით.

—ლარმენტიესი რავაა ქალო, დიმინტრიესია!

არ ეშვება მოხუცი.

—დია ღორონთი!*

იწყინა ძალუამ და შეუდგა განმარტებას.

—ჯერ იყო ბესოიე ლომინაძის*...თურმე ბეჩა, სტალინიზა სიტყვა შოუბრუნებია და სიმონიკე ჯუღელიზა გოდოულოციათ...მერე სიმონიკას რაღაცა დაბრალებია...როცა მოკვდა მერე გოუგეს თურმე დანაშაული და საფლავიდან ამოუთხრიათ,—მაგი შენ უფრო გეცოდინება ნასწავლი რომ ხარ, უფრო კარგად გეიგებდი...ჰოდა ახლა დეერქვა ბეჩა ლარმენტიეს სახელი.

ამ ლაპარაკისას გარედან სიმღერა გაისმა ხმა შეწყობილი:

ჰერი, ჰერი ჰერია,
ჩქინ ლარმენტი ბერიააა...

—ჯოხი ძაღლის ხსენებაზეო, სწორედ უთქვამთ ძველებს!

სთქვა დუტუმ და ყალიონი ხელახლა გააწყო

—სად მღერიან ნეტა?

იკითხა უჩამ.

—უჩენიკებია შვილო...ალბად ჩაის საკრეფად მიჰყავთ...ზარმაცებს სწავლა ეზარებათ და სიმღერა უფრო ემარჯვებათ.

—ჰო იმას ვამბობდი ახლა ლარმენტიეს სახელზეა გაწერილი თქვა- ძალუა მტკიცედ დგას თავის დებულებაზე. არ უნდა გადაუხვიოს „გენერალურ“ ხაზს.

—მეიცა ქალო. რავა სარეკელა წისქვილივით ოურიე ყორიფერი! მიუგო მამამ და ეხლა თვითონვე დაიწყო განმარტება:

—ლარმენტიემდი დიმინტრიესი არ იყო? მერე დიმინტრიე ჩაის ახალი კოლმეურნეობა რო დაარსდა, იმას არ დაერქვა??

—ჰო და ეხლა ლარმენტიესი ვართ ბეჩა!

შეიძლება ამ დებულების გარკვევას დიდი პაექრობა მოჰყოლოდა, რადგან არც ერთი მხარე არ თმობდა, მაგრამ ამ დროს გარედ ერთი დავიდარაბა ატეხილიყო. მოისმოდა ყვირილი და ჰყივილი...ძაღლების ყეფით ხომ შეძრული იყო მანდაურობა.

„ვაგუტუა შოზელძაღლი!“*

„გუმათხოზი სი გურელი!“*

ღლების ყეფა და მათი ბოხი მოძახილი.

გარედან ძახილი მოისმა:

—ქრისტინე გარედ გამეიხედე თუ ქალი ხარ!

—რა ამბავია იკითხა უჩამ.

—რა ამბავია და მურიკელას სიკვდილი და გადაშენება! სთქვა დუტუმ. კერაში მუგუზალს უმატა, ამასობაში ჩამქრალიყო კიდეც.

—მურია რა შუაშია ბაბა!

—შუაშიც მაგია და ბოლოშიც, გაწყდა მაგის ჯილაგი!

—რავა?

ქურდია შვილო და აბრაგი. ღობეს იქით გედევისვრიდი ამ ძაღლს, მაგრამ ვერ გამიმეტებია, ვერ მევიგლიჯე გულიდან... გვიყვარს, ვუყვარვართ...აბა ვინ გააგდებს სახლიდან? ამ სამგლეს საჭმელი არ აკლია და სასმელი... როცა ტაბაკზე დედაშენი ღომს დაავებს ლაფარათი, კარდალიდან პირველად ამოღებული ღომი მურიკელასია. მაგრამ სხვის სახლში მაინც მიძვრება...აქ გამძღარი, სხოგან დაწრწის.. ეძებს საკბილოს..საკბილოს ყოველთვის ქეიშოვის ჩემი ძაღლი!

უჩას გაეცინა.

—ერთგულობით თუ მოსდის ბაბა?

—ერთგული? დაუზოგველია შვილო. შემომტანია, მეზობლები გადამკიდა!

—მაინც რას შვრება ასეთს?

—მეზობლების საბუდარიდან კვერცხებს იპარავს, პირში ჩაიდებს, მე შენ გეტყვი გაკაწრააირია ყველაფერი...ქალების ყვირილი, ძაღლთ თუ? თვითონ კი არ ჭამს ეს უბედური.. ჩვენთან მოაქვს შინ. მერე დედაშენი აგროვებს მის ნაპარავალ კვერცხებს და საწყალი ჩუმად შემოიარს მეზობლების საბუდრებს და გუგულივით ჩამოარიგებს კვერცხებს... მურიამ ის კარგად იცის და ისევ ბეჯითად ამოალაგებს კვერცხებს და მოაქვს შინ!

ამ ლაპარაკის დროს შემოდის უჩას დედა აყირმიზებული, სახე აშლილი.

—რა მოხდა ქალო:

—შენი მურიკელას გადაშენება და მეტი არაფერი. ეს არ ვნახო ჩემს ბარობაზე იცოდე..ჩამოჰკიდე ხეზე. რომ მაგის ბუნდღი არ იყოს აქანე!

—თუ გინდა შენ ჩამოჰკიდე!

თქვა დუტუმ და ულვაშებში ეშმაკურად ჩაიღიმა. განა მურიას ხეზე ჩამოსაკიდებლად გაიმეტებს დუტუ იმერიძის ოჯახი? ეს მურიკელამაც კარგად იცის და ამიტომ ასე არხეინად გრძნობს თავს. ისე კი ისიც ერიდება უსიამოვნებას...

—არაფერია ბაბა, მოვაგვარებთ ამ საქმეს!

თქვა უჩამ.

—ავს კარგად ვინ შეცვლის შვილო, შენ რომ შეცვალო! დუტუ ეხლა ქრისტინეს მიუბრუნდა და ჰკითხა:

—სადაა ქალო ის სამგლე?

—აგერაა ლაფაროში!

—რატომ არ შემოდის სახლში?

—სინდისი აწუხებს!

—სინდისი აწუხებს,—გაიმეორა დუტუმ ცოლის ნათქვამი და განაგრძო. ძაღლს კი არა სინდისი კაცს არა აქვს ჩვენს დროში. დუტუ წამოდგა, კარი გააღო და გასძახა:

—მურიკელა შემოდი შინ!

მურია დარცხვენილი შემოვიდა ჯარგვალში.

—შეგიკურთხეს ხომ ვაჟკაცო!

მურიამ დუტუში სითბო იგრძნო...მიხვდა არ მიწყრებიანო...არ მიმეტებენ მთლადო და წკიუტუნი მორთო, მერე კუდი მოკაკვა.

—შე კუდმოკაკულო შენ... არ გასწორდები არასდროს გეტყვი მე შენ. რატომ ჩადიხარ ბიჭო საძრახ საქმეს, შე აბრაგო შენ? ნუ გადიკიდე ბიჭო მტრად ეს ქვეყანა, დეეტიე შენს ტყავში არ ჯობია? იყავი შინ, რაც ღმერთმა მოგვცეს მას დავჯერდეთ. შენი მოტანილი არ გვინდა, ჩვენიც გვეყოფა!

თითქოს დაუდასტურა დუტუს ნათქვამიო.

---

*. დიმიტროვი, ბულგარელი კომუნისტის გვარია. იმერეთ-სამეგრელოში ამ სახელს გამოსთქვამენ „დიმინტრიე“.

*. რიკოი=რიკოვი, სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, დაიღუპა 1937 წელს.

*. ლარმენტიე=ლავრენტი ბერია. იმერეთ სამეგრელოში ლარმენტიეს ამბობენ.

*. ღმერთო ჩემო!

*. ქართველიშვილი=საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, ისიც დაიღუპა 1937 წელს.

*. ბესო ლომინაძე=სკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტ. მდივანი, ისიც დაიღუპა 1937 წელს.

*. არ გაუშვა შოზელძაღლი.

*. გაეკიდე!

## ოლიმპიური ასპარეზობა ტოკიოში.

(გადაეცა მიუნხენის „რადიოთა- ვისუფლებას“ მიერ)

მსოფლიოს არც ერთ გაზეთს, არც რადიო და არც ტელევიზიას, სამწუხაროდ, არ აღუნიშნავს ის ფაქტი, რომ 18-ტე ოლიმპიურ ასპარეზობაში, ტოკიოში, მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს სპორტსმენები. ოლიმპიური ასპარეზობის გახსნისას მოსჩანდნენ, ტოკიოს ნაციონალურ სტადიონზე 94 ერის სპორტსმენები ეროვნული ალმებითა და აბრებით, რომლებზედაც ინგლისურად წარწერილი იყო ცალკეული სახელმწიფოს სახელწოდება. არა მარტო სტადიონზე თავმოყრილმა მაყურებელმა, არამედ თითქმის მთელი მსოფლიოს მოსახლეობამ ტელევიზიით დაინახა მსოფლიოს ყველა ერის სპორტსმენები, ალმები და კითხულობდნენ მათ ვინაობასაც. წარმოიდგინეთ ისეთი ლილიპუტი სახელმწიფოც კი იყო ტოკიოში წარმოდგენილი, როგორიც მონაკოა, რომლის მოსახლეობა სულ რაღაც 22 ათას თუ უდრის. ვნახე რა ტელევიზიაში ამ ოლიმპიური ასპარეზობის ჯერ გახსნა და შემდეგ დახურვა, გული მომიკვდა: რატომ საქართველოს, ქართველ ერს, ქართველ სპორტსმენებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება ასევე დამოუკიდებლად, ცალკე მიიღოს ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობა, როგორც სხვა ათობით ერებს, რომლებსაც არც რიცხობრივად, არც თავისი სახელმწიფოებრივი ტრადიციით, არც ისტორიით და, რაც მთავარია ამ შემთხვევაში, არც სპორტიული უნარით, საქართველოს ვერ უტოლდებიან! რატომ მაგალითად, მსოფლიო პრესა, რადიო, ტელეხედვა, უნდა აჩვენებდეს ამ ერების ალმებს, სპორტსმენებს, აბრას წარწერით, ხოლო ენას არ უნდა იღებდეს საქართველოს, ქართველი ერის და მისი სპორტსმენების შესახებ? ეს ფაქტი კიდევ უფრო იმიტომ მიკლავს გულს, რომ 94 ქვეყნიდან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 18-ტე ოლიმპიურ ასპარეზობაში, მხოლოდ 41 ქვეყნის სპორტსმენებმა დაიკავეს პირველი ექვსი საპრიზო ადგილი; დანარჩენ 53 ქვეყნისს პორტსმენები კი დაკმაყოფილდნენ იმით, რომ „ოლიმპიურ თამაშობაში მონაწილეობის მიღება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამარჯვება!“

მიუხედავათ იმისა, რომ კუპერტანის ამ დევიზის სისწორეში ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, მაინც გვსურს აღვნიშნოთ, რომ მონაწილეობის მიღებასთან ერთად, არა ნაკლებად სასიამოვნოა გამარჯვებაც. საქართველოს, ქართველ ერს, ქართველ სპორტსმენებს ცალკე, დამოუკიდებლად მონაწილეობა არ მიუღიათ 18-ტე ოლიმპიურ ასპარეზობაში, ტოკიოში, მაგრამ ჩვენმა სპორტსმენებმა, როგორც მსოფლიოს გაზეთები, რადიო, ტელევიზია იუწყებოდნენ, „როგორც რუსებმა“ მოიპოვეს დიდი გამარჯვება. დაწყებული 1952 წლიდან საქართველოს სპორტსმენებმა, ჩვენი არა ოფიციალური გამოანგარიშებით, ოლიმპიურ ასპარეზობაში დაიკავეს გუნდურად მეათე-მეთხუთმეტე ადგილები. 1952 წელს, მაგალითად, ჰელსინკიში

ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს ორი ოქროს მედალი და საერთო ჯამში შეაგროვეს 47 ქულა. 1956 წელს, რომში, საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს ორი ოქროს მედალი და მოაგროვეს 54 ქულა. ახლა 18-ტე ოლიმპიურ ასპარეზობაზე, ტოკიოში, ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს ორი ოქროს, ოთხი ვერცხლის და ხუთი ბრინჯაოს მედალი. სულ მოაგროვეს 63 ქულა. ამით კი საქართველოს სპორტსმენებმა გაუსწრეს ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე 78 ქვეყანას და დაიკავეს 15-ტე ადგილი.

ეს მართლაც ქართველი სპორტსმენების დიდი გამარჯვებაა: გამარჯვება, რომლის შესახებ მხოლოდ ჩვენ, ქართველებმა ვიცით, ხოლო მსოფლიო სპორტიული საზოგადოებრიობა ამ ქულებს ან „რუსეთს“, ან და „საბჭოთა კავშირს“ აწერს. ასე რომ საქართველო, ქართველი ერი, საქართველოს სპორტსმენები არსად არ სჩანან და ბევრმა არც კი იცის, რომ ჩვენ საერთოდ ვარსებობთ ამ ქვეყნად!

ესაა სამართალი? ესაა ერთა თანასწორობა, რომელზედაც ამდენს გაჰყვირის პარტიული პროპაგანდა? რატომ ჩვენი ერი, საქართველო არ უნდა ჩანდეს საერთაშორისო არენაზე? თვით საბჭოთა კავშირის და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციებიც კი იძლევა ამის საშუალებას, რომ საქართველომ ცალკე, დამოუკიდებლად მიიღოს ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობა. საბჭოთა კავშირის 15-ტე მუხლი ლაპარაკობს მოკავშირე რესპუბლიკების, ე. ი. საქართველოს სუვერენიტეტზე„ 18-ტე მუხლი კი ლაპარაკობს, რომ საქართველოს შეუძლიან დაამყაროს დიპლომატიური და კონსულარული კავშირი უშუალოდ და დამოუკიდებლად მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან და დადოს მათთან ხელშეკრულება. რატომ არასოდეს არ ხდება საბჭოთა საქართველოს მიერ ამ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება? რატომ არ არის ჩამოყალიბებული საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც განცხადებას შეიტანდა მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტში, რომ საქართველო დამოუკიდებლად დაშვებულ იქმნეს ოლიმპიურ ასპარეზობაზე? ნუ თუ დრო არ არის საქართველოს ხელმძღვანელობამ, მთავრობამ სპორტიულმა საზოგადოებებმა მოითხოვონ ამ უფლებების ცხოვრებაში გატარება, რომ საქართველომ 1968 წელში, მექსიკოში, მაინც შესძლოს 19 ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება დამოუკიდებლად?

აი, ჩვენი მორიგი საზრუნავი საკითხი თუ ჩვენ გვსურს საქართველო, ქართველი ერი გავაცნოთ მსოფლიო ერებს და ჩვენი სპორტსმენების წარმატებები მიეწეროს არა სხვა ერს, არამედ ქართველ ერს, საქართველოს!

---

## რუმინიის გამოფხიზლება.

(დასაწყისი იხ. მეორე გვ.

რისპირ შეხვედრის დროს, განიხილეს ყველა ის საკითხები, რაც მათ საერთო ინტერესებს შეეხებოდა. ცხადია, გეორგიო დეჟი ასეთ მოხდენილ შემთხვევას ვერ გაუშვებდა, რომ იუგოსლავიის პრეზიდენტისათვის რჩევა და ამასთანავე მხარის დაჭერაც ეთხოვა.

რუმინიის განზრახვაში არ შედის სოციალისტური ბანაკის დაუყონებლივ დაშორება, მხოლოდ ის ცდილობს ეროვნული ღირსება და სუვერენიტეტი ძველებურად, შეულახავად აღიდგინონ და გადაჭრით არ უარყოფენ სოციალისტური ორბიტრის შიგნით დროებით თანაარსებობას. რუმინიას სავსებით სრულყოფილად შეუძლიან სოციალისტურ ბანაკში ყოფნითაც მოიპოოს, ომის შემდეგ წითელი არმიის ძალადობით, უხეშად წართმეული ეროვნული პიროვნება. დანარჩენს დროთა ცვალებადობა შეასრულებს, სხვათა საიმედოთ და სანუგეშოდ.

ამ ჟამად არ უნდა ვიყოთ დიდი მოთხოვნილების, რადგან უდავოა, რომ რეალობაში მიზნის მიღწევა თანმიყოლილი ეტაპების შეჯამების ნაყოფია.

ს. ჭირაქაძე.

---

მურიკელამ თავი მაღლა ასწია და შეჰყეფა.

—მოდი აქ ჩემთან!

მურია მივიდა. დუტუს კალთაში თავი ჩარგო და ფხიზელ ძილს მიეცა. არ გასულა დიდი ხანი და წამოდგა, ერთი გაიზმორა და კარებში გაჰყო თავი...მაგრამ დუტუმ დაუყვირა:

—აქ მობრძანდი შე აბრაგო...შინ იყავ დღეს პატიმრობაში. გაჯარიმებ იცოდე...!

მურიკელას ბრძანება ძალიან არ გაჰხარებია, მაგრამ ბრძანება-ბრძანებაა, იფიქრა გონიერმა პირუტყვმა და იქვე კუთხეში მიეგდო. კიდეც ჩასთვლიმა, მაგრამ ტყუილია. გონი გარედ ჰქონდა და დრო გამოშვებით შეჰყეფდა ხოლმე.

ბოლოს დუტუმ გაიგო რა უჩას სამსახურიდან მოხსნის ამბავი და ხელისუფლებისაგან დევნა, გულუბრყვილოდ შეეკითხა შვილს;

—რეიზა არ გინდათ ფილიპეს დოუჯეროთ..! ნოვე ძალით გააქციეს..სტამბოლში გადაჰკარგეს...აბა ვის რა დოუშავა ნოვემ?...ან რის ერჩოდით რუსხელწიფეს?

ყველაფერი ერთად მიაყარა დუტუმ მოწიფულ ვაჟს.

—ვინ არის დამნაშავე რომ ქვეყანა ეირია?

განაგრძო მოხუცმა და თვითონვე დასვა კითხვა:

—მაშ ანგლიის ხელმწიფეა დამნაშავე?

—არა მამაჩემო, ნეტავი მაგისთანა ხელმწიფე ჩვენც მოგვცა!

—აბა გერმანიეა დამნაშავე?

არ უშვებს მოხუცი. —

—არც ერთი და არც მეორე მამაჩემო!

—აბა ვინ არის თქვა, გეუბნები შენ?

—დამნაშავე მოსკოვია, რომელიც არ გვაძლევს ნებას ჩვენს თავს ჩვენვე მოვუაროთ!

მიუგო უჩამ.

მოხუცმა მოსკოვის ხსენებაზე წარბები შეიჭმუხნა.

ისლით დახურულ ქოხში დუმილი ჩამოვარდა.

მინდია ლაშაური.

---

**G. A. Press**
114 St. Mark's Place,
Tel.: 473 - 0240
New York 10009, N. Y.
ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზეც.

---

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

*Mr. G. Djakeli*
*535 E. 78 Street,*
*New York, N.Y. 10025*

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

---

*EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.*
*EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Szangulia, Dr. G. Gabriani.*

## მოსკოური ლოღიკა.

საბჭოთა საინფორმაციო სააგენტო „ტასსი“ მხოლოდ იანვრის 4-ს გამოეხმაურა შეერთებულ შტატებში გასული წლის ნოემბერში მომხდარ არჩევნებს და თავისი კომენტარიებიც გვაცნობა.

„ტასის“ აზრით, შეერთებული შტატების კონგრესში მცირე რიცხვი არ არის მილიონერების. კონგრესმენების უმრავლესობა ვექილებია. იქ არ არის წარდგენილი არც ერთი მუშა...მხოლოდ 12 ქალია. სახალხო წარმომადგენლების პალატაში ექვსი ნეგრია, ხოლო სენატში არც ერთიო.

შემდეგ საბჭოთა საინფორმაციო სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათ „უმაღლეს საბჭოში“, ე. ი. „საბჭოთა პარლამენტში“. დიდი უმრავლესობა მუშებია, ასობით ქალები და ეთნიურ ჯგუფების წარმომადგენლები. „ტასსი“ იმასაც ხაზს უსვავს, რომ მათ „პარლამენტს „დაუყონებლივ გამოაქვს დადგენილებები და ამტკიცებს მთავრობის პროგრამას“.

თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების უპირატესობა სწორედ ის არის,რომ ხალხს უფლება აქვს, თავისი გუნებ განწყობილების მიხედვით აირჩიოს დეპუტატი. დემოკრატიულ ქვეყნებში გადამწყვეტ როლს თამაშობს საარჩევნოდ წარდგენილი კანდიდატის სოციალ პოლიტიკური პროგრამა და არა მისი „კანის ფერი“, ან პროფესია.

თავისუფალ ქვეყნებში, სადაც საარჩევნოდ დაპირდაპირებულია სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ცხადია განსხვავდება საბჭოთა არჩევნებისაგან. საბჭოთა კავშირში ხომ ერთ პარტიული სისტემაა გაბატონებული და ასარჩევი კანდიდატებიც ძალლიდან, პარტხელმძღვანელობისაგან და მთავრობისაგან ინიშნება. მაშასადამე, ამომრჩეველს, ხალხს, ერთად ერთი მოვალეობა და უფლება აქვს: მოიწონოს, აირჩიოს და დაამტკიცოს წარმოდგენილი სია.

ამ პირობებში არჩეულ და დემოკრატიულ წეს შორის, ცხადია განსხვავებაც თვალსაჩინო უნდა იყოს.

თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყნებში, თავისუფალი ხალხისაგან, თავისუფლად არჩეული დეპუტატი, პასუხისმგებელია თავისი ამომრჩევლის წინაშე: ვინც მას ხმა მისცა, ვინც ის აირჩია და ვისგანაც გარკვეული დავალება მიიღო, თუ რა მიმართულებით უნდა წარმართოს თავისი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება.

საბჭოთა კავშირში კი პარტხელმძღვანელობისაგან და მთავრობისაგან დანიშნული დეპუტატი მონა-მორჩილია თავისი დამნიშვნელის, ე. ი. პარტხელმძღვანელობის და მთავრობის და მისი როლიც მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ყოველი პროექტი მოიწონოს, მას ხოტბა შეასხას, დაუყონებლივ დაამტკიცოს და მას „ისტორიული მნიშვნელობის“ განაჩენი უწოდოს.

დემოკრატიული პარლამენტი კი ყოველდღიურად მუშაობს. მისი სპეციალური კომისიები ჯერ ცალკე შეისწავლიან მთავრობის მიერ წარდგენილ ამა თუ იმ სავარაუდო პროექტს, შემდეგ მას პარლამენტი საჯაროდ განიხილავს და თუ ეს ხალხთა წარმომადგენლობის უმრავლესობამ მიიღო, მხოლოდ ამის შემდეგ გადაიქცევა აღძრული საკითხი, მთავრობის მიერ აღსასრულებელ საგნად. დემოკრატიულ ქვეყნებში წშირია შემთხვევა, როდესაც პარლამენტი მთავრობის მიერ წარმოდგენილ გეგმას სრულიად უარყოფს, ან მასში რადიკალურ ცვლილებას შეიტანს, ან სრულიად ახალ სახეს მისცემს. ეს არის ხალხის ნამდვილი წარმომადგენლობა, აფსოლუტური საკანონმდებლო უფლებებით მოსილი და ამიტომ ხანგრძლივდება დემოკრატიული პარლამენტის მიერ მთავრობის პროექტების დამტკიცება, რომელსაც „ტასი“ იწუნებს.

რაც შეეხება საბჭოთა პარლამენტში მუშათა წარმომადგენლობას, აქაც ხომ მარტო თეატრალობასთან გვაქვს საქმე?! ხანგამოშვებით შეკრებილ საბჭოთა პარლამენტში იგზავნებიან სახელმწიფო დაგეგმის ნაწარმის მეტი გამომმუშავებელი ხალხი. ახალგაზრდა გოგონებიჭები, მათ წასახალისებლად და პარლამენტის ნამდვილი როლისა და მნიშვნელობის დასამცირებლად. აბა გვიბრძანეთ,, რა მონაწილეობა უნდა მიიღოს პარლამენტის მუშაობაში ახალგაზრდა გოგონამ. რომელმაც, ვთქვად, ზომაზე მეტი ჩაი მოკრიფა? ცხადია, ამგვარი პარლამენტი დაუყონებლივ დაადასტურებს მთავრობის მიერ წარდგენილ გეგმებს!

თავისუფალ ქვეყნებში მუშათა ინტერესების დასაცავად არსებობს თავისუფალი, მთავრობისაგან დამოუკიდებელი, შეუზღუდველი პროფესიონალური კავშირები. აქაური პროფესიონალური კავშირები, არამც თუ უპირდაპირდებიან დამქირავებლებს, თუ კი ეს საჭიროდ დაინახეს, არამედ თვით მთავრობის გარდაწყვეტილებასაც უარყოფენ, თუ ამაში შებღალულია მუშათა ინტერესები. ამ ნიადაგზე ხდება გაფიცვები, დემონსტრაციები და ამისთვის არავინ არ ისჯება.

საბჭოთა კავშირში კი მუშათა კავშირები დამორჩილებულია სახელმწიფო და პარტიულ ორგანოებს და მონური აღმასრულებლები არიან მათი დადგენილების. საბჭოთა კავშირის მუშების სავალალო მდგომარეობას რომ არ შევეხო და მხოლოდ ადამიანის უკეთესობისაკენ ლტოლვის ლოღიკას გავყვეთ, ესეც საკმარისია, არანორმალურად მივიჩნიოდ, რომ ამ ნახევარი საუკუნის გასწვრივ, საბჭოეთში, არავითარ მუშათა დემონსტრაციას ადგილი არა ჰქონია და თუ სადმე ეს გამოვლინდა, რა მრისხანებით გაუმასპინძლდა „საბჭოთა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება“! მაშასადამე აქაც საქმე გვაქვს საბჭოეთის მხრიდან მუშათა ინტერესების ყაბლ, დემაგოგიურ პროპაგანდასთან.

---

## ქართულ სათვისტომოში.

მთელი ქრისტიანული სამყარო განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს ხოლმე ქრისტეს შობის დღეს. ეს კაცობრიობისათვის ახალი ეპოქის დასაწყისის თარიღია...თარიღი, რომელმაც მსოფლიო ვითარებას ახალი სული შთაბერა და ახალი იერი მისცა მას. ქრისტეს შობას საქართველოშიც დიდი ზეიმით ხვდებოდნენ ხოლმე, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში რუსული საოკუპაციო რეჟიმის დამყარებამ, როგორც ათეისტურმა და ანტირელიგიურმა, სხვა სახის რელიგიურ დევნასთან ერთად, შობის დღესასწაულიც განდევნა ხმარებიდან და ის შეეცადა ქართული მოზადრი თაობა ათეისტურ-მატერიალისტურ იდეებზე აღეზარდა, საიდანაც გამორიცხულია ყოველგვარი სულიერ-ზნეობრივი მომენტები.

ათეიზმი რუსეთისათვის არ არის უჩვეულო, ახალი ხილი. ის მხოლოდ დაემთხვა ლენინურ მარქსისტულ მოძღვრებას. რუსული ბუნების კარგად მცოდნე ლენინმა შესანიშნავად იცოდა, რა უნდა დაემოძღვრებინა რუსის ხალხისთვის, რომ გამარჯვების სასწორი მისკენ გადახრილიყო. რუსის ხალხის ათეიზმს ნათლად მოგვითხრობს ბელინსკი, რომელიც გოგოლს სწერდა: „ნუ თუ თქვენ გულწრფელად, სულითა და გულით უმღერეთ ჰიმნი საზიზღარ რუსულ სამღვდელოებას... თქვენ გგონიათ, რომ რუსის ხალხი მსოფლიოში ყველაზე რელიგიურია: სიცრუეა! რელიგიურობის საფუძველია პიეტიზმი, მოწიწება, ღვთის შიში. რუსის ხალხი კი ღმერთს რომ ახსენებს, საჯდომს იფხანს. იგი ხატის შესახებ ამბობს: ვარგა ვილოცოთ, არა და,—ქოთანს დავახუროთო“

„ცოტა გულდასმით დააკვირდით და დარწუნდებით, რომ ეს ბუნებით ღრმად ათეისტი ხალხია... რუს ხალხში რელიგიურობა სამღვდელოებაშიც კი ვერ ინერგება...“ (იხ. ბ. ბელინსკი. რჩეული ნაწერები, ტომი 2-რე გვ.738

საბჭოთა ხელისუფლების დაფუძნების პირველ წლებში სავსებით იყო აღკვეთილი ეს დღესასწაული და როგორც მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ისე მუშა-მოსამსახურეებისათვის აღკვეთილ იქმნა უხსოვარი დროიდან დაკანონებული „საშობაო შვებულება“. მაგრამ ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ხელისუფლება მალე დარწმუნდა, რომ სულიერ-ზნეობრივი გარდაქმნა „დეკრეტებით“ და ბრძანებებით შეუძლებელია და საბჭოთა რეჟიმი იძულებული გახდა ხალხის მიმართ დათმობაზე წასულიყო და კონცესია გაეცა. მათ ამ ჟამად „საშობაო შვებულებას“ საახალწლო დაარქვეს და მსოფლიოში გაბატონებულ შობის ხეს კი „საახალწლო ხე“. ყოველი სახელმძღვანელოდან ამოშლილია ზაქარია ფალიაშვილის მიერ დამუშავებული შობის ხის გალობა და, რასაკვირველია, თანამედროვე ბავშვებისათვის ის უცნობია.

სამაგიეროდ. უცხოეთში გადმოხვეწილი ქართველობა ამ დღესასწაულს მამა-პაპათა ტრადიციების მიხედვით ინახავს და მთელი თავისი ძალღონით ცდილობს ეს უცხოეთში დაბადებულ თავიანთ შვილებსაც გადასცეს. გასული იანვრის 10-ს, ქართულმა სათვისტომომ საკუთარ სახლში ქართველ ბავშვებისათვის მოაწყო შობის ხე. შობის ხე შემკული იყო მრავალ მოსართავებით და აელვარებული სხვადასხვა ფერი მნათურებით. მაგრამ შობის ხის გარშემო თავმოყრილ ბავშვების თვალს მაინც შობის ხის ძირში დაგროვილი საჩუქრების კოლოფები იზიდავდა, რომელიც სათვისტომოს გამგეობას მათთვის წინასწარ დაემზადებინა.

შობის ხის დღესასწაულზე ოცამდე გოგონებიჭმა მოიყარა თავი. აქ, მათი მშობლების გარდა ნახავდით „უშვილო“ ცოლ-ქმარსაც, რომლებიც მოსულიყვნენ რათა დამტკბარიყვნენ ქართველ მოზარდების ჟივილ-ხივილით.

ბავშვები მღეროდნენ, ცეკვავდნენ, წარმოსთქვამდნენ ქართულ ლექსებს და რომელიმე მათგანის მიერ ქართულ გამოთქმაში დაშვებული შეცდომა იწვევდა საერთო შენიშვნას და გულმოდგინე სიცილს.

ამგვარად დაღლილ-დაქანცულ ბავშვებს ბოლოს დაურიგდათ საშობაო საჩუქრები და შემდეგ სათვისტომოს გამგეობა კიდეც გაუმასპინძლდა მათ საუზმით.

ი. მენთეშაშვილი.